აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№58 (25.082) სამშაბათი, 6 - 7 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

სიღარიბის დონემ 15.6%-ს მიაღწია, რაც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არის დიდი პრობლემა, მაგრამ ისტორიული მინიმუმია, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე. „2012 წელთან შედარებით, თითქმის ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა თავი დააღწია სიღარიბეს. 2012 წელს იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 1 100 000 ადამიანი, როდესაც ჩვენ ხელისუფლება ჩავიბარეთ. ეს მაჩვენებელი განახევრებულია," - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. პრემიერმა ინფლაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მაისში ინფლაციის დონემ 1.5% შეადგინა, რაც „პირდაპირ არის დადასტურება იმისა, რომ მთავრობამ სწორი პოლიტიკა გაატარა".

* * *

ფაქტია, ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, გაიზარდა ფასები, - ამის შესახებ ოპოზიციონერმა პარლამენტარმა რომან გოცირიძემ მთავრობის ანგარიშის კომენტირებისას განაცხადა. „ხალხი გარბის და თვალში ნაცარს აყრიან, თითქოს ქვეყანაში უმუშევრობა არნახულად არის შემცირებული, თუ საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარი უცხოეთში წავა, ბუნებრივია, უმუშევრობა გამოვა ნული," - განაცხადა გოცირიძემ.

* * *

რუსეთთან ფრენების აღდგენაზე უარის თქმა, ვიზების შეჩერება ის სცენარია, რომელიც ქართველების მიმართ საპასუხო ზომების მიღებით განვითარდება, - ასეთია პარლამენტის პირველი ვიცესპიკერის გია ვოლსკის პასუხი კითხვაზე, რა ფაქტორებისა და გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება გადახედოს საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან არსებულ სავიზო პოლიტიკას. ვოლსკის თქმით, „სიღრმისეული ანალიზი აჩვენებს, რომ ორმხრივ ურთიერთობაში დაპირისპირების ახალი მექანიზმების შემოტანა იმგვარ პროცესებს გამოიწვევს, რაც საქართველოსთვის წამგებიანი აღმოჩნდება".

* * *

ლევან ხაბეიშვილის შეთავაზება ძალიან არაკორექტულია და არაეთიკური. პოლიტიკურად წამგებიანი პოზიციაა ასეთი ბაქიბუქი, როდესაც შენ პირადად არაფერს წარმოადგენ, - ასე ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის" წევრი ბაჩო დოლიძე პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილის განცხადებას. „ჩვენთან უნდა ისაუბროს ყველამ, მოვიდნენ და თუ უნდათ, მივეხმარებით, რომ 5-7% მიიღონ, რათა ხვალ, ზეგ იყოს კოალიციური მთავრობა", - განაცხადა ხაბეიშვილმა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმის სტადიონი მზადაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

22 ივნისიდან „აჭარაბეთარენა" დღეისთვის ყველაზე მასშტაბური ღონისძიებას - 2023 წლის ევროპის 23 წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს ფეხბურთში

ჩემპიონატი ერთდროულად ორ ქვეყანაში - საქართველოსა და რუმინეთში ტარდება. „აჭარაბეთი" უკვე მზად არის ამ მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობისთვის. ამის შესახებ მედიასთან აჭარის პროექტების მართვის კომპანიის დირექტორმა ბაქარ ჩიტაიამ განაცხადა. მისი თქმით, ჩვენმა არენამ უეფას ინსპექტირების რამდენიმე ეტაპი წარმატებით გაიარა.

საქართველოში რვა ქვეყნის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ. ბათუმში პირველი შეხვედრა 22 ივნისს, ჩეხეთისა და ინგლისის ნაკრებებს შორის გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქალაქის მთავარი სტადიონი ნახევარფინალურ და რაც მთავარია, ფინალურ მატჩს უმასპინძლებს, რომელიც 8 ივლისს გაიმართება. ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებას დროებითი სამთავრობო კომისია უწევს ორგანიზებას.

საქართველოში ველოდებით უკვე აღიარებულ ვარსკვლავებს, იმედია, ჩემპიონატი ახალ სახელებსაც გამოავლენს. წინ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება გველის. ბათუმელებო, წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი, შეიძინეთ ბილეთები, რათა არ გამოტოვოთ ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავების ნახვის შესაძლებლობა.

მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა სხიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინა

სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, მოხსენებით მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი წარსდგა.

მაუწყებლის მიმდინარე და სამომავლო პრიორიტეტების, პროგრამული გეგმების, სამაუწყებლო ბადეში განთავსებული გადაცემების, საბიუჯეტო პარამეტრების, შიდა და გარე აუდიტის დასკვნების, სოციოლოგიური კვლევების, რეიტინგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მომხსენებელმა და მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ისაუბრეს მაუწყებლის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, უპასუხეს კანონმდებელთა შეკითხვებს.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანგარიშის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პოლიტიკაში მესამე ძალის შესაქმნელად მოვიდნენ...

3

რესტორანი «ფშაური» «რეტროდან» ნამოსულ თანამშრომლებს დასაქმებას სთავაზობს

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

არჩილ ჩიქოვანი საქართველოში გაეროს მუდმივ კოორდინატორ საბინე მახლს შეხვდა

შეხვედრაზე ისაუბრეს გაეროს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში ბათუმში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მათ შორის, შემუშავდა ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმა, პროექტის - „დაბალი სიმძლავრის ჭკვიანი შუქნიშნები ავტობუსების პრიორიტეტიზაციისათვის ბათუმში“ ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, აქტიურად მიმდინარეობს პროექტი „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“, განხორციელდა „პლასტმასის ნარჩენების მართვის ჯაჭვისა და პრაქტიკის განვითარების“ საპილოტე პროექტი, რომლის უშუალო განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მხრიდან შპს „სანდასუფთავებაა“. პროექტის ფარგლებში გადაცემული ტექნიკის დათვალიერების და შედეგების შეჯამების მიზნით შედგა ვიზიტი შპს „სანდასუფთავებაში“.

აღსანიშნავია, რომ პროექტი 2021 წელს დაიწყო და 2022 წელს დასრულდა. იგი მოიცავდა როგორც მუნიციპალიტეტისათვის შესაბამისი აღჭურვილობის გადაცემას, ასევე ინტეგრირებული საკომუნიკაციო კამპანიის ჩატარებას. შედეგად, დღეისათვის მუნიციპალიტეტს აქვს 2 საპრესი დანადგარი და დამახარისხებელი ლენტი, სპეციალურად გამოყოფილი ურნები ნარჩენის PET ბოთლების სეპარირებულად შესაგროვებლად, თანამშრომლებს კი მიღებული აქვთ გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ამ მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ ექსპერიმენტის შედეგების შეფასების შემდეგ ბათუმის მერიამ UNDP-ის მხარდაჭერით მოამზადა და დაამტკიცა 2023-2027 წლების ქ. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა.

რა კეთდება ქალაქის მოვლა-პატრონობისთვის

ბათუმის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბაგრატიონის ქუჩის კეთილმოწყობა მალე დასრულდება. აღდგენილია სატრანსპორტო მოძრაობა და მიმდინარეობს ტროტუარების მოწყობა

ასევე, დაიწყო ხახულის ქუჩის კეთილმოწყობა. ამ დროისთვის ნაპირსამაგრი და ხიდის მშენებლობის სამუშაოები ხორციელდება.

გრძელდება ივანე მესხის ქუჩის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს განათების სისტემის მოწყობა.

ტროტუარის ფილებისა და ქვაფენილის შეკეთება განხორციელდა ს. ხიმშიაშვილის, გორგილაძის, ბარათაშვილისა და გორგასლის ქუჩებზე.

სპორტული მოედნის აღდგენა მიმდინარეობს თამარის დასახლებაში.

დაზიანებული ფანჩატურებისა და საბაღე სკამების რეაბილიტაცია შესრულდა მელაშვილის მე-2 შესახვევში.

მ. აბაშიძის ქ. №42-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა დაზიანებული სახურავის რეკონსტრუქცია.

გონიო-ვარიათში ზღვისპირა ბილიკზე ძველი ელექტრონათურების ახლით ჩანაცვლება გრძელდება.

ქვეითთა გადასასვლელები დაიხაზა ლეხ და მარია კაჩინსკებისა და ფიროსმანის ქუჩებზე.

ქალაქის მასშტაბით გრძელდება ერთწლოვანი ყვავილების დარგვა.

ბათუმის ცენტრალურ პარკში, ფრიდონ ხალვაშის, რუსთაველის, გორგილაძის, ბაგრატიონისა და შარტავას ქუჩებზე გაცელვითი სამუშაოები განხორციელდა.

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება.

გარემოს დაცვის წლევანდელი მსოფლიო დღის თემაა ადამიანის კავშირი ბუნებასთან

აჭარის უმაღლეს საბჭოში გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა და ექსკურსია ჩატარდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გარემოს დაცვის საკითხებზე, აჭარაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოს წევრებისაგან - მარინე გვიანიძისა და ფრიდონ ფუტკარაძისაგან მოისმინეს.

„გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის“ (UNEP) გარემოს დაცვის წლევანდელი მსოფლიო დღის თემაა ადამიანის კავშირი ბუნებასთან. ჩვენი გონივრული ქმედებები განაპირობებს გარემოს დაცვასა და უსაფრთხოებას“, - აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ.

ახალგაზრდებთან შეხვედრისას აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძემ გარემოს დაცვითი კანონმდებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შესახებ კანონზე ისაუბრა, რომელიც ეროვნული პარკის დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ახალგაზრდებმა საინფორმაციო შეხვედრა-ექსკურსია უმაღლესი საბჭოს ახალი ვებპლატფორმა - chaerte.sca.ge-ის მეშვეობით ჩანიშნეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

კიდევ ერთი წარმატება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ხულოში ჭიდაობის სანიმუშო სკოლა რომ არის, სადავო არაა. აქ მონაგარს ახალ-ახალი მიღწევებით ამდიდრებენ

ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკში მიმდინარე რიგით მესამე სარეიტინგო ტურნირში, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ხულოელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს.

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ლერი აბულაძე 63-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ტურნირის გამარჯვებული გახდა. მისმა ძმამ ოთარ აბულაძემ 72-კილოგრამიან და გელა ბოლქვაძემ 82-კილოგრამიან წონით კატეგორიებში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

- ხულოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელებს გვახარებს ლერი და ოთარ აბულაძეების, გელა ბოლქვაძის ეს წარმატება, ვულოცავთ, იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ ასპარეზობებზე კიდევ გაგვახარებენ, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ.



გილოცავთ!

ლერი აბულაძე
ოქროს მედალი

ოთარ აბულაძე
ბრინჯაოს მედალი

გელა ბოლქვაძე
ბრინჯაოს მედალი

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ზაფხულის სეზონისთვის მზადაა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. სეზონის გახსნის ღონისძიების ფარგლებში ბათუმში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, გამოფენილი იყო როგორც სახმელეთო, ასევე, საზღვაო სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა. ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ, ადგილზე მოეწყო წყალზე სამაშველო ოპერაციის სიმულაცია, რომელშიც პირად შემადგენლობასთან ერთად სპეციალური ტექნიკა იყო ჩართული.

* * *

ბათუმის საფეხბურთო არენა ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მზადაა. შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დირექტორ ბაქარ ჩიტაიას განცხადებით, აჭარაბეთარენამ უეფას ინსპექტირების რამდენიმე ეტაპი წარმატებით გაიარა. ცნობისთვის, ისტორიაში პირველად საქართველო რუმინეთთან ერთად ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩემპიონატი სტარტს 21 ივნისს აიღებს. ბათუმში აჭარაბეთარენაზე პირველი შეხვედრა 22 ივნისს ჩეხეთისა და ინგლისის ნაკრებებს შორის გაიმართება. აჭარაბეთარენა უმასპინძლებს, ასევე, ნახევარფინალურ და ფინალურ დაპირისპირებებს.

* * *

სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი გაიმართა ბათუმში, რომლის მიზანი საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარება, მისი პოტენციალის გამოყენება და ცნობადობის გაზრდაა. კონფერენციაში საქართველოს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, თხუთმეტამდე ქვეყნის ექსპერტი მონაწილეობდა. ფორუმზე ითქვა, რომ საქართველოს აქვს უნიკალური პერსპექტივა სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად, ამ მხრივ კი განსაკუთრებით გამოირჩევა აჭარა.

* * *

დაბა ქედაში ორი სკოლამდელი დაწესებულებაა. მეორე ბაგა-ბაღში სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ საპილოტე პროექტის ფარგლებში ადრეული და სკოლამდელი განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაზე მუშაობა დამამთავრებელ ეტაპზეა. ბაგა-ბაღების პედაგოგები და ხელმძღვანელები პილოტირებულ საბავშვო ბაღში სააღმზრდელო პროცესს გაეცნენ. დაათვალიერეს თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობილი გარემო და სააქტივო სივრცეები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ლიტერატურით, ინვენტარით. ღონისძიების ფარგლებში ქედის კულტურის დარბაზში შემაჯამებელი წარდგინება შედგა, რომელზეც ეროვნული ცენტრის, მეორე ბაგა-ბაღის წარმომადგენლებმა დღემდე გაწეულ საქმიანობაზე ისაუბრეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები იმედა ვასაძე, მამუკა ფარტენაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია, ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი აიშე თებიძე. ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ თანამედროვე სტანდარტების დანერგვას მუნიციპალიტეტის სხვა ბაღებშიც გეგმავს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

პოლიტიკაში მესამე ძალის შესაქმნელად მოვიდნენ...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

2023 წლის მიწურული საქართველოსთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით: გაირკვევა, მიენიჭება თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსი, ანუ აღმოვჩნდებით დასავლეთის ქოლგის ქვეშ, თუ ქვეყანა კვლავ ურთიერთდაპირისპირების რეჟიმში დარჩება. ჯერჯერობით, კვლავ მძაფრდება მტრობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, დროდადრო ქვეყნის პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს უახლოეს ხანებში გაკეთებული განცხადების გამო მმართველი პარტია აკრიტიკებს, აღარაფერს ვამბობ „ნაცმოძრაობაში“ შექმნილ მდგომარეობაზე. მოკლედ, ყველა პოლიტიკური ძალა თავის ხმაზე მღერის და დუღილიც მატულობს. მაინც, როგორია დღეს რეალობა, რა არის ის ასპექტები და ორიენტირი, რომელიც უთუოდ უნდა დავინახოთ, რომ პროგრესის გზაზე შევდგეთ. ამის თაობაზე ბსუ-ის ეკონომიკის მაგისტრანტს და ამავდროულად „ლელო საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერ არჩილ ბერიძეს ვესაუბრებით.

- დავიწყოთ უმთავრესით: ხელისუფლების წევრები აცხადებენ, რომ 12-პუნქტიანი ევროპული რეკომენდაციების შესასრულებლად ყველაფერი კეთდება და ამ მხრივ ოპოზიციის შენიშვნები არაადეკვატური და ხშირ შემთხვევაში ქვეყნისთვის დამაზიანებელია...

- 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესი არ არის გამჭვირვალე, მასში საზოგადოების ჩართულობა ძალიან მცირეა. ხელისუფლება არ ესაუბრება საზოგადოებას. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს. ღია საზოგადოების ფონდის კვლევას გავეცანი, სადაც ძალიან ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება რიგი მიმართულებით წარმატებით მუშაობს, მაგრამ სადაც მისი ძალაუფლების შემცირების საშიშროებას ხედავს, ის პუნქტები, მეტწილად, შეუსრულებელი რჩება, ფუნდამენტური ცვლილება არ არის. მეტიც, ბოლო პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების ანტიდასავლური რიტორიკა ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას და ჩვენს მომავალს. განცდა მრჩება, რომ „ქართულ ოცნებას“ კანდიდატის სტატუსის მიღება არ სურს, რადგან მასში ხედავს საფრთხეს, რომ შემცირდება მისი გავლენა სასამართლოზე და მოუწევს ავტორიტარიზმისკენ ლტოლვაზე უარი თქვას. ამიტომ მზად არის, ქვეყნის საგარეო კურსი შეცვალოს, ოღონდაც ძალაუფლება შეინარჩუნოს.

- ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს კანდიდატის სტატუსის მისაღებად და ამ მხრივ ოპოზიციის შენიშვნები არაადეკვატურია, რას ფიქრობთ?

- ხელისუფლება დღეს „სტრატეგიული მოთმინების“ პრინციპით მოქმედებს (როგორც თვითონ ამბობენ), რაც, ძირითადად, უმოქმედობით და შეგუებით გამოიხატება. არანაირი რეაგირება - კადიროველების საქართველოში შემოსვლაზე, რუსეთის გავლენიანი პირების ახლობლების ქორწილის საქართველოში გადახდაზე... ამას ემატება აქციებზე ხალხის დაჭერა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მედიის დისკრედიტაცია და ა.შ. არათუ ყველაფრის გაკეთებაა კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის, პირიქით, განზრახ, მავნებლური ქმედებებია, რაც კანდიდატის სტატუსის მიღების შანსებს ამცირებს.

- რუსეთმა საქართველოსთან აღადგინა საჰაერო მიმოსვლა, ეს, გარკვეულწილად, კანდიდატის სტატუსის ჩასაშლელად გაკეთდა - აცხადებენ ანალიტიკოსები, თქვენი აზრით, ასეა?

- როცა ევროპასთან ასე ახლოს ვართ, სწორედ მაშინ აღადგინა პუტინმა ფრენები, რათა ხელი შეგვიშალოს კანდიდატის სტატუსის მიღებაში. რუსეთს სურს, საერთაშორისო საზოგადოებაში შექმნას განწყობა, რომ საქართველო რუსეთის მოკავშირეა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებისგან ნულოვანი რეაგირება და ცალკეული ბიზნესკომპანიის აღტყინება კიდევ უფრო აზიანებს პროცესს. ხელისუფლების თქმით, ეს საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახება, მაგრამ ქართული ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულება მხოლოდ ცუდის მომტანია. ევროკავშირის ქვეყნებმა უკვე გააკეთეს კომენტარი ხელისუფლების რიტორიკასა და უმოქმედობაზე, რის გამოც დემარში გამოგვიცხადეს. ეს ძალიან დამაზიანებელია ჩვენთვის ამ ეტაპზე.

- ოპოზიცია უკმაყოფილოა არსებული ხელისუფლების საქმიანობით, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება და ოპოზიციური სპექტრი დესტრუქციული ქმედებებითაა დაკავებული, ამ მხრივ თქვენი პარტიის შენიშვნები რამდენად არგუმენტირებულია სხვადასხვა საკითხთან მიმართებით?

- ჩვენი პარტია ყოველთვის არგუმენტირებულად და დასაბუთებულად აკეთებს განცხადებებს. „ლელო“ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და ჩვენი საპარლამენტო საქმიანობა სწორედ საზოგადოებისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტადაა მიმართული. ჩვენ ბათუმის საკრებულოშიც გვყავს წარმომადგენელი, რომელიც კონკრეტულ ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით მუშაობს. სწორედ ამიტომ არის „ლელო“ სხვა პარტიებისგან გამორჩეული. ჩვენ პროვოკაციასა და ემოციებზე დაყრდნობით კი არ ვსაქმიანობთ, არამედ რაციონალურად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ.

- ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილს ადანაშაულებს რუსეთის მიმართ ლოიალური პოლიტიკის გატარებაში, რამდენად მოსალოდნელია მმართველმა გუნდმა პრეზიდენტის იმპიჩმენტი გამოაცხადოს და ამ შემთხვევაში საპარლამენტო ოპოზიციამ რა უნდა მოიმოქმედოს?

- ზურაბიშვილის ბოლო განცხადებებმა საზოგადოების მოწონება დაიმსახურა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან კრიტიკა მიიღო. პრეზიდენტის რიტორიკა ბოლო პერიოდში ქართველი ხალხის შეხედულებებთან, მეტწილად, ახლოს არის. სწორედ ამის გამო გაღიზიანდნენ მმართველი გუნდის წარმომადგენლები. რეალურად, 2018 წელს ხომ ისინი უჭერდნენ მხარს ზურაბიშვილს და რომ არა ეს მხარდაჭერა, ყველამ ვიცით, ზურაბიშვილი ვერ გახდებოდა პრეზიდენტი. აი, ამიტომაც ეძახიან ზურაბიშვილს მოღალატეს, ვერ აიტანეს, რომ იგი სახელმწიფოებრივად სწორ პოზიციას იჭერს. თუმცა აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც რომ მისი საუბარი მხოლოდ ფრაზებად რჩება. პრაქტიკაში ზურაბიშვილს მეტი ბერკეტი აქვს, თუნდაც პოლიტპატიმრების შეწყალების კუთხით (ნიკა გვარამიას ვგულისხმობ), მაგრამ ამას არ აკეთებს, რის გამოც საზოგადოებას მის გულწრფელობაში ეჭვი შეაქვს. ვინაიდან პრეზიდენტობის ვადა მალე ეწურება, ჩემი აზრით, მოსალოდნელი არ არის მისი იმპიჩმენტი. თუ ამას „ოცნება“ მაინც გააკეთებს, ეს ერთგვარი თვითლუსტრაცია იქნება. და მაინც, ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, ოპოზიციამ ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს - როგორც პარლამენტში მაქსიმალური წინააღმდეგობა, ისე ქუჩიდან ბრძოლა.

- ექსპერტები არც ოპოზიციას ინდობენ, აცხადებენ, რომ ოპოზიცია ცაიტნოტშია და ჯერჯერობით პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში ვერ ქმნის, რა სტადიაშია დღეს ოპოზიციური სპექტრი?

- ოპოზიცია დღეს ნამდვილად იმსახურებს კრიტიკას. მცირე პარტიები თვითგამორკვევის პროცესში არიან, მთავარი ოპოზიციური პარტია კი, არსებული მენეჯმენტით ემსგავსება იმას, ვისაც აკრიტიკებს. ოპოზიციას ღირებულებების გადაფასება და საზოგადოების ინტერესებთან დაახლოება სჭირდება. ამისთვის საჭიროა ახალი, კარგი წარსულის მქონე სახეების, ახალგაზრდების წინა პლანზე წამოწევა გადაწყვეტილების მიმღებ პირებად, საზოგადოებისთვის მთავარ პრობლემებზე საუბარი და რაც მთავარია, გეგმა, რის მიხედვითაც იმოქმედებს არჩევნებამდე და არჩევნებზე. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ოპოზიცია მხოლოდ ელოდება „ქართულ ოცნებას,“ როდის დაუშვებს შეცდომას და შემდეგ ემოციებით მოქმედებს, რის გამოც შედეგის მიღწევას ვერ ახერხებს.

- გვერდს ვერ ავუვლით „ნაცმოძრაობაში“ შექმნილ მდგომარეობას, ურთიერთბრალდებები მელიასა და ხაბეიშვილის გუნდს შორის მძაფრდება, ეს რისი მანიშნებელია?

- იმის, რომ მთავარი ოპოზიციური პარტია ვერ შედგა წამყვან ძალად, მეტიც, ის საზოგადოებისთვის კვლავ მთავარი მიღებელი პარტიაა. დღეს რაც ამ პარტიაში ხდება, შორიდან ჰგავს ოლიგარქიული ტიპის მმართველობას. შიდა დაპირისპირებამ სრულად დაავიწყა ამ პარტიის წევრებს, რომ ისინი ამომრჩევლების წარმომადგენლები უნდა იყვნენ და არა კონკრეტული ადამიანების. სულ უფრო და უფრო მიმყარდება შეხედულება, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ შეთანხმებულად მოქმედებენ. მათ აწყობთ არსებული სტატუსკვოს შენარჩუნება (განსაკუთრებით, „ნაცმოს“ ამჟამინდელ მენეჯმენტს).

- რა დასკვნის საშუალებას იძლევა ის, რომ ოპოზიციის ხუთმა წევრმა მხარი დაუჭირა იუსტიციის საბჭოში ხელისუფლების მიერ წარდგენილ კანდიდატებს?

- ეს ფაქტი აჩვენებს იმას, რომ ოპოზიცია მაინც არ ჩანს ისეთი პრინციპული, როგორიც უნდა იყოს. ხშირ შემთხვევაში, ოპოზიციის წარმომადგენლებიც მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან (მათ შორის, ფინანსური) გამომდინარე და ვერ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას საზოგადოების მიმართ. ეს კი კიდევ უფრო დიდ უნდობლობას იწვევს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ. ამიტომაც, ოპოზიციურმა პარტიებმა სიების შედგენისას უნდა გაითვალისწინონ არა ფული და გავლენები, არამედ პატიოსნება, პრინციპულობა, ღირსება, გამოცდილება, ცოდნა და შესაძლებლობა.

- აშკარად ჩანს, რომ ქართულ პოლიტიკაში ხდება გადაჯგუფებები, ზოგი პარტია იშლება, ზოგი აქტიურობს, ამ მხრივ „ლელოს“ საარჩევნოდ რა სტრატეგია აქვს შემუშავებული?

- ამ მოცემულობით, „ლელო“ აპირებს დამოუკიდებელ სუბიექტად წარსდგეს არჩევნებზე. სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან მოლაპარაკებები ჯერჯერობით აქტიურ ფაზაში არ არის. „ლელოს“ პოლიტიკური კურსი თავიდანვე იყო დამოუკიდებელი ძალის შექმნა, რომელიც წარსულში დატოვებდა საკაშვილსა და ივანიშვილს. დღეს „ლელოს“ მიზანია, რაც შეიძლება მეტი, კარგი წარსულის მქონე, გამოცდილი და განათლებული ახალგაზრდა ჩაერთოს ამ პროცესში. თუკი საარჩევნოდ მოხდება გადაჯგუფება, მე დარწმუნებული ვარ, რომ „ლელო“ საზოგადოებრივი, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებას მიიღებს, და არა, კონკრეტული ადამიანების ამბიციებზე დამყარებულს.

- სოციოლოგიურ კვლევებს თუ ვენდობით, ხუთპროცენტიან საარჩევნო ბარიერს მხოლოდ მმართველი პარტია და „ნაცმოძრაობა“ დაძლევს, რამდენად მოსალოდნელია თქვენი პარტია რეალურ მესამე ძალად იქცეს?

- ჩვენი პოლიტიკაში მოსვლის მიზანი მესამე ძალის შექმნა იყო. ძალის, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საზოგადოების პრობლემების მოგვარებაზე და არა კონკრეტული ადამიანების ინტერესების გატარებაზე. ჩვენი რამდენიმეწლიანი პოლიტიკაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამ მოცემულობით, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ვიმუშაოთ საზოგადოებასთან ერთად, რათა მარტივად დავძლიოთ 5%-იანი ბარიერი და „ოცნებას“ არ მიეცეს ქვეყანაში ავტორიტარიზმის დამყარებისა და ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლის საშუალება. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ საარჩევნო ბარიერი დაიწევს 2 ან 3 პროცენტამდე, რათა სხვა პარტიების ამომრჩევლებსაც მიეცეთ შესაძლებლობა, პარლამენტში ჰყავდეთ წარმომადგენელი. სრულად პროპორციული არჩევნები არის ოპოზიციის შესაძლებლობა, თავად შექმნას პოლიტიკური ამინდი.

- ბოლოდროინდელმა ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის 50 პროცენტი არჩევნებზე არ დადის, რას აკეთებს თუნდაც თქვენი პარტია, რომ ამომრჩევლის ხმა არ დაიკარგოს?

იხ. მე-7 გვ.

> *„მესმის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული პარტიები არ ატარებდნენ საზოგადოების ფართო მასების (მოწყვლადი ჯგუფების) ინტერესებს და ამეტებდნენ ძალაუფლებას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ეს ტენდენცია და პოლიტიკა გავხადოთ საზოგადოების პრობლემების მოგვარების პლატფორმა*

უცხოეთი

სინგაპურში მსოფლიოს ოცი უმსხვილესი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსნებმა შეხვედრა გამართეს. მასში მონაწილეობდნენ აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორი ავრილ ჰეინსი, ასევე, ჩინეთისა და ინდოეთის სადაზვერვო სამსახურების მეთაურები, რომლებმაც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს უკრაინაში მიმდინარე ომი და ტრანსნაციონალური დანაშაული. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლებს. მსგავსი შეხვედრები სინგაპურის მთავრობის ორგანიზებით რამდენიმე წელია იმართება.

* * *

თურქეთის ახალ მთავრობაში 17 მინისტრიდან 15 შეიცვალა. ახალი შემადგენლობა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ წარადგინა. თანამდებობები შეინარჩუნეს მხოლოდ ჯანდაცვისა და კულტურის მინისტრებმა. საგარეო საქმეთა სამინისტროს მევლუთ ჩავუშოღლუს ნაცვლად ჰაკან ფიდანი უხელმძღვანელებს. ფიდანი მონაწილეობდა უკრაინასა და რუსეთს შორის სამხედრო ტყვეების გაცვლის მოლაპარაკებებში, რომლის შედეგადაც „აზოვსტალის“ მცველები უკრაინაში დაბრუნდნენ. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს, ჰულუსი აქარი შეიარაღებული ძალების გენშტაბის მეთაურმა იაშარ გიულერმა შეცვალა. გიულერი მეთაურობდა თურქულ ჯარს სირიაში 2019 და 2020 წლებში სამხედრო შეჭრის დროს, ასევე, ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს ერაყში.

* * *

ბელგიის ხელისუფლება კიევს განმარტებებს მოსთხოვს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღმოჩნდა ბელგიური იარაღი „თავისუფლების ლეგიონისა“ და „მოხალისეთა კორპუსის მებრძოლების“ ხელში. ბრიუსელის შეშფოთება გამოიწვია ბელგოროდში მოქმედი რუსული ანტიპუტინისტური დაჯგუფებების მიერ გავრცელებულმა ვიდეოებმა, სადაც ამბოხებულებს ბელგიური წარმოების იარაღი უჭირავთ. „რუსეთის თავისუფლების ლეგიონის“ ინფორმაციით, ბელგოროდის ოლქის შებეკინოს რაიონში ღამით მოწინააღმდეგის ორი ტანკი და სხვა სამხედრო ტექნიკა გაანადგურეს. „გადავდივართ რეჟიმის სრულ განადგურებაზე. რუსეთი იქნება თავისუფალი“, - აცხადებენ „თავისუფლების ლეგიონში“.

* * *

ჩინელი სამხედროები არ დააყოვნებენ მოქმედებას, თუ ვინმე გაბედავს ტაივანის ჩინეთისგან გამოყოფას, - განაცხადა ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა. მისი თქმით, ერთი ჩინეთის პრინციპი საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად ნორმად იქცა საერთაშორისო ურთიერთობებში და მისი დარღვევის ნებისმიერი მცდელობა სასაცილო და საშიშია. ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა აშშ და მისი მოკავშირეები ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონის დესტაბილიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის დაპირისპირება კატასტროფა იქნება მსოფლიოსთვის.

* * *

სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ანტისამთავრობო აქციების ფონზე განაცხადა, რომ გადადგომისთვის და განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად არის. ამასთან, მისივე თქმით, რჩება პრეზიდენტ ვუჩიჩის ერთგული. ანტისამთავრობო გამოსვლების მიზეზი ბელგრადში მომხდარი თავდასხმები გახდა, რასაც 17 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა
ია შველიძემ

რესტორნის მფლობელი ძალადობის ფაქტზე დააკავეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმში ერთ-ერთი ცნობილი რესტორნის, „რეტროს“ მფლობელი თეიმურაზ ვარშანიძე მიმტანზე ძალადობის ბრალდებით პოლიციამ დააკავა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს

აღნიშნული ფაქტი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც „რეტროს“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ვიდეო, სადაც რესტორნის მფლობელსა და თანამშრომლებს შორის საუბარი იყო ასახული, რა დროსაც თეიმურაზ ვარშანიძე ერთ-ერთ მიმტანს იმის გამო, რომ მან სამუშაო პირობებთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა და თქვა, რომ მასთან სამართალს ვერ მიაღწია, ფიზიკურად გაუსწორდა.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, „რეტროს“ ხელმძღვანელმა სამსახურში რუსი ეროვნების მიმტანები აიყვანა, რის შემდეგაც იქ მომუშავე დაახლოებით 20-ზე მეტი ქართველი გაათავისუფლა. სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოშიც კარგად ჩანს, როგორ მიმართავს თანამშრომლებს და ეუბნება, რომ მას თავისი წესები აქვს, რომლებსაც უნდა დაემორჩილონ, სხვა შემთხვევაში, უნდა დატოვონ სამსახური: „ეს რესტორანი მამათქვენისაა თუ ბიძათქვენისაა, ჩვენ აქ რა წესებსაც დავადგენთ, ის იქნება, არ გაწყობთ, წადით, ახლავე ადექით და წადით, ტყუილად არ მალაპარაკოთ. აქ რასაც მე გეტყვით, ის უნდა გააკეთოთ და არა ის, რასაც თქვენ მეტყვით“ - ამბობს თეიმურაზ ვარშანიძე.

სოციალურ ქსელებში აღნიშნული ფაქტამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ რიგ რესტორნებსა და კაფე-ბარებში ხდებოდა ქართველი დასაქმებულების რუსებით ჩანაცვლება, მათ შორის, საუბარი იყო რესტორან „რეტროზეც“, მოქალაქეები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას და ამბობდნენ, რომ დამსაქმებლების მხრიდან მსგავსი მიდგომები საზოგადოებამ მკაცრად უნდა დაგმოს, რათა ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეების გამო, არ დაირღვეს ქართველი დასაქმებულების შრომითი უფლებები. რესტორან „რეტროს“ ხელმძღვანლის დამოკიდებულებასა და, ზოგადად, იქ არსებულ მდგომარეობაზე სტატუსი გამოაქვეყნა რესტორნის ყოფილმა მენეჯერმა მარია ზოიძემ:

- პოსტს ვწერ ძალიან აღელვებული, გაბრაზებული, თუმცა სრულიად რაციონალური გონებით. მინდა ჩემი და იმ ადამიანების გამოცდილება მოგიყვეთ, რომელთაც ერთი სამუშაო სივრცე, რესტორანი „რეტრო“ გვაერთიანებდა. ვფიქრობ, რომ არ უნდა დავაყოვნო და ყველაფერი მოვყვე. გთხოვთ, ბოლომდე წაიკითხოთ ისტორია. მე, პირადად, რესტორან „რეტროში“ მენეჯერის პოზიცია მეკავა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. კონკრეტულ შემთხვევამდეც არ სუფევდა რესტორანში სამართლიანობა და ადამიანური მოპყრობა, მაგრამ მთავარი მაშინ დაიწყო, როცა რუსების შემოდინებიდან მალევე, მოიყვანეს რუსი მიმტანები, რუსი დიზაინერები და რუსი ფსევდოპიარები, რომლებმაც არც ქართული იცოდნენ, არც ინგლისური და გვიქმნიდნენ ტოქსიკურ სამუშაო გარემოს. მათი აყვანიდან მალევე დაიწყო ამ ხალხის უპირატესად წარმოჩენა და გამუდმებით ჩვენი დაკნინება (გამომდინარე მფლობელის პრორუსული დამოკიდებულებიდან). ამ სიტუაციაში რამდენიმე თვე მომიწია მუშაობა, თუმცა მთავარი მაშინ დაიწყო, როდესაც „რეტროს“ მფლობელმა თეიმურაზ ვარშანიძემ პიკის საათებში, როცა უამრავი სტუმარი იყო რესტორნის შუა დარბაზში, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი სიტყვებით „შემამკო“. თავი დამცირებულად ვიგრძენი და სამსახური მაშინვე დავტოვე.

გუშინ კი ბევრად უარესი რამ მოხდა. „რეტროს“ მფლობელი თეიმურაზ ვარშანიძე (და არამარტო) ხელით შეეხო, მან ფიზიკურად იძალადა ერთ-ერთ მიმტანზე, რომლის ამსახველ კადრსაც აქ ვაქვეყნებ. არსებობს სხვა კადრებიც, მაგრამ ამას უკვე იქ წარვადგენთ, სადაც საჭიროა. საშინელი შიშის შეგრძნება მაწუხებს. ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც რესტორნის მფლობელი ხელით ეხება თანამშრომლებს. ძალიან ბევრი რამის თქმა არის შესაძლებელი ამ ამბით მათზე და, ასევე, სხვებზეც. მთელი ქვეყანა რომ რუსეთის ჯიბის რესტორნად იქცა, ფაქტია, ჩვენ კი - მათ პირად მოსამსახურეებად. ამ ერთი ამბიდანაც კი მარტივად შეგიძლიათ დაასკვნათ, რა ხდება ქვეყანაში, - წერს მარია ზოიძე.

„რეტრო“, რომელიც აჭარული ხაჭაპურით არის ცნობილი და რომელსაც უამრავი მომხმარებელი ჰყავს, მფლობელის დაკავების მეორე დღეს, ანუ 5 ივნისს აღარ გახსნილა. როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, რესტორანში შრომის ინსპექციაა შესული, უწყება თანამშრომლების მიმართ შრომის უფლებების დარღვევას შეისწავლის.

„რეტროს“ ყოფილი თანამშრომლები სოციალური ქსელების საშუალებით აცხადებენ, რომ არ გაჩერდებიან, სანამ არ მიაღწევენ სამართალს. მათივე თქმით, აღნიშნული ფაქტი უნდა გახდეს მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა მოექცეს დამსაქმებელი დასაქმებულს.

„როცა რუსების აყვანა დაიწყეს სამსახურში, მოხდა ჩვენი ერთგვარი დაკნინება, მათ უფრო მეტი პრივილეგიები მიანიჭეს, ვიდრე ჩვენ. პირველი ადამიანი, ვინც კრებაზე ხმა ამოიღო, ვიყავი მე და ბატონმა თემურმა არ მაცალა საუბარი, ერთი სიტყვაც არ მათქმევინა და აღნიშნა, ვისაც არ მოსწონს, დატოვოს აქაურობაო“.

„12 წლის განმავლობაში მომუშავე პერსონალს, დღეს, როცა რუსები გამოჩნდნენ და მოიყვანეს სამსახურში, უთხრა, რომ თქვენი გაკეთებული საქმე არ მომწონსო“.

„იმიტომ დაგვიპირისპირდა ბატონი თეიმურაზი, რომ პროტესტი გამოვთქვით თუ რატომ აყენებდა ჩვენზე მაღლა რუსებს და გვამცირებდა მათ თვალში“ - ვკითხულობთ სოციალურ ქსელში.

ოპოზიცია

დავით ხაჯიშვილი: აჭარა არ არის მზად ტურისტული სეზონისთვის

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი დავით ხაჯიშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ ბათუმი და, ზოგადად, აჭარა, როგორც ბოლო 10 წლის განმავლობაში, წელსაც არ არის მზად ტურისტული სეზონისთვის

„გასულ შაბათ-კვირას აჭარაში ტურიზმის სეზონი ოფიციალური ღონისძიებით გაიხსნა. ამ ღონისძიებაში ცუდი არაფერია, მაგრამ, როდესაც რეგიონში უამრავი ინფრასტრუქტურული პრობლემაა მოუგვარებელი და აჭარა მოუმზადებელია ტურისტების დასახვედრად, მსგავსი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მავნებლურია როგორც ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი რეგიონისთვის, ბოლო წლების გამოცდილებით კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, მსგავსი დამოკიდებულება რა შედეგებამდეც მიგვიყვანს.

10 წელზე მეტია, რაც გზა ვერ დაიგო ხულო-ზარზმის მიმართულებით. ამ პრობლემის გამო, აჭარის მთავარი სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი მუდმივად კარგავს ტურისტებს. ამავე პრობლემის გამო, საზაფხულო კურორტი ბეშუმიც ზარალდება და კარგავს დამსვენებლებს.

ამ 10 წლის განმავლობაში ვისმენთ ერთი და იგივე თავის მართლებას (რომელიც არ არის გამართლება), რომ თითქოს კონტრაქტორები არიან არაკეთილსინდისიერი შემსრულებლები და ა.შ. ასე იქნება მუდამ, სანამ არ შეწყდება პერსონალურად, საკუთარი ჯიბეების საკეთილდღეოდ მოქმედება და არ დაიწყება ქვეყნის და რეგიონის ინტერესების გათვალისწინება.

მეორე ძალიან სერიოზული პრობლემაა ხელვაჩაურის გზა, რომელიც წლებია „რემონტდება“, თუმცა აქაც შედეგი ჯერ კიდევ არ არის, წლების განმავლობაში სარემონტო სამუშაოების გამო იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობები გაუსაძლისი იყო, მუდმივად მტვერი, ტალახი და საცობები. ახლა საერთოდ ერთი მონაკვეთი გადაკეტილია და ზემო აჭარის

(ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს) მოსახლეობას შემოვლითი გზებით უწევს გავლა, რამაც რამდენიმე საათით გაზარდა მგზავრობის დრო. ამავე დროს, იგივე პრობლემის გამო, ტურისტულ ობიექტებთან წვდომა ზემო აჭარაში არის შეფერხებული და ეს ობიექტები ამ პრობლემების გამო ათასობით ტურისტს კარგავენ. ეს იმ დროს, როდესაც 3 ივნისს ოფიციალურად გაიხსნა ტურისტული სეზონი.

ასევე, პრობლემაა ბათუმის შემოვლითი გზა, რომელიც 2017 წელს უნდა დამთავრებულიყო, შემდეგ - 2020 წელს. 2022 წელს ინფრასტრუქტურის მინისტრმა პირადად მითხრა, რომ 2023 წელს ეს შემოვლითი გზა აუცილებლად დამთავრდებოდა, თუმცა არც დღეს და არც დეკემბერში ეს გზა დამთავრებული ვერ იქნება, ეს არის კიდევ ერთი ტყუილი და „გადაგდება“ „ქართული ოცნების“ მხრიდან. ამ გზის არარსებობის გამო მთელი სატრანსპორტო ნაკადი მიემართება არსებული გზით, რომელიც ვერ ატარებს ამდენ ტრანსპორტს, ასევე, ბათუმის შესასვლელთან, კერძოდ „ბენზეს“ დასახლებაში, გაარემონტეს ხიდი, რომელიც დავიწროვდა და იქმნება ე. წ. ძაბრი, რის გამოც სეზონზე, დღის საათებში, ბათუმში შემოსვლას (7კმ) 2 საათამდე სჭირდება.

გმირთა ხეივნის რეკონსტრუქცია, რომელიც დაფინანსდა ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯერ კიდევ დაუსრულებელია - ტურისტული სეზონისთვის მზად არ არის.

ბათუმში უამრავი ინფრასტრუქტურული პრობლემაა, მათ შორის ბულვარში - ამოყრილი ქვაფენილი, ამოტეხილი ბეტონი, გადამწვარი და გაფუჭებული განათების ბოძები, უსახური ჯიხურები. მოცეკვავე შადრევანთან ახლა მიმდინარეობს ტროტუარის მოპირკეთების სამუშაოები.

ბათუმის ნაგავსაყრელი, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა გადაეტანათ სხვა ლოკაციაზე (უკვე შერჩეული და სამშენებლო სამუშაოები ჩატარებული) მდებარეობს სანაპიროსთან ახლოს და შესაბამისად, იქიდან წამოსული არასასიამოვნო, გაუსაძლისი სუნი იგრძნობა ახალი ბულვარის ტერიტორიაზეც, განსაკუთრებით ზაფხულში.

სხვა რიგ ლოჯისტიკურ თუ ტექნიკურ პრობლემასთან ერთად, ვფიქრობ, უმთავრესია ხარისხი, სამწუხაროდ, არცერთი მშენებლობა, განახლება არ მიმდინარეობს ხარისხიანად, რის გამოც უმოკლეს პერიოდში ვუბრუნდებით იმავე წრეს - კვლავ შესაცვლელია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბათუმი და ზოგადად, აჭარა, როგორც ბოლო 10 წლის განმავლობაში, წელსაც არ არის მზად ტურისტული სეზონისთვის. ამ ინფრასტრუქტურით ჩვენ ხარისხიან ტურისტს ვერ მოვიზიდავთ, აქ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ჩამოვლენ ისინი, ვისაც ძალიან უყვარს ბათუმი და იმათ, ვისაც სხვა ალტერნატივა აღარ აქვს (ამ შემთხვევაში რუსებს ვგულისხმობ).

ამ ყველაფრის პარალელურად, პარლამენტმა წინა კვირას ბათუმის ურბანული გენოციდის კანონი დაამტკიცა, რითაც ყველა იმ სამშენებლო სიმახინჯეს და ბეტონის ჯუნგლებს „გააპრავებს“, რაც ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში აშენებულა“, - წერს დავით ხაჯიშვილი სოციალურ ქსელში.

რესტორანი „ფშაური“ „რეტროდან“ წამოსულ თანამშრომლებს დასაქმებას სთავაზობს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში მდებარე რესტორანი „ფშაური“ „რეტროში“ მომხდარ ინციდენტს ეხმიანება და დამსაქმებლის ძალადობის გამო პროტესტის ნიშნად წამოსულ თანამშრომლებს დასაქმებას სთავაზობს

რესტორანი სოციალურ გვერდზე წერს, რომ თანამშრომლების მიმართ მსგავს მოპყრობას გმობს.

„რესტორანი „ფშაური“ გმობს ბოლო პერიოდში საქართველოში გახშირებულ არასათანადო და ძალადობრივ მოპყრობას თანამშრომლებ-

ის მიმართ, რაც ეწინააღმდეგება და ლახავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. ბათუმში ახლახან მომხდარი ინციდენტიდან გამომდინარე, ჩვენი გუნდი სოლიდარობას უცხადებს რესტორან „რეტროდან“ პროტესტის ნიშნად წამოსულ თანამშრომლებს და სთავაზობს დასაქმებას, სამწუხაროდ, შეზღუდული ოდენობით. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ“, - წერია განცხადებაში.

რესტორანი „რეტრო“, რომლის მფლობელმა თეიმურაზ ვარშანიძემ მიმტანზე იძალადა, 15-ვე თანამშრომელმა დატოვა. გუშინ, დილიდან, რესტორანი აღარ გაიხსნა.

«სელიმობა» - ყველას დღესასწაული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების სახელები, - ბაბუა და შემდგომ შვილიშვილი, აჭარის ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლებისთვის იბრძოდნენ. მრავალ გმირთაგან გამორჩეული ხვედრი ერგო სელიმს - ოსმალოებმა მისი თავმოკვეთილი სხეული ადგილზე დატოვეს, ხოლო თავი, სულთანს სტამბოლში წაუღეს. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ასეთი სისასტიკე ცოტა თუ ახსოვს

რაც დრო გადის, სელიმისა და მისი სადარი ეროვნული გმირების ღვაწლს მეტი ფასი ედება. სამწუხარო, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე მიუკვლეველია სტამბოლში ჩატანილი სელიმის თავის ადგილსამყოფელი, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულის წყანიშურების უბანშია მიწას მიბარებული.

სელიმის საფლავის კეთილმოწყობასა და მემორიალური დაფის გაკეთებაში ფასდაუდებელი წვლილი გაიღო განსვენებულმა ცნობილმა მეცენატმა, აჭარის ისტორიის მკვლევარმა თეიმურაზ კომახიძემ. მისი და აჭარაში მოღვაწე მამულიშვილების მიზანი იყო, სახალხო დღესასწაულის დაწესება სელიმის სახელის უკვდავყოფისთვის. 2005 წლის ივნისში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკოში პირველი სახალხო დღესასწაული «სელიმობა» გაიმართა. მას შემდეგ, ბაკოსა და ნიგაზეულში, ეს დღესასწაული რიგრიგობით იმართება, თუმცა სასწორი მაინც ბაკოელების მხარესაა გადახრილი. აქ, სელიმის თავკვეთის ადგილზე, მემორიალი გაკეთდა, სოფლის გმირის უკვდავყოფისთვის გაკეთებული საქმეებით ნიგაზეულელებიც იწონებენ თავს.

საფლავის კეთილმოწყობასთან ერთად, სოფელში სელიმის სახლ-მუზეუმი მოაწყვეს. მათი ინიციატივით, დაბა შუახევის ერთი ქუჩა სელიმის სახელს ატარებს. ნიგაზეულში ჩატარებულ ერთ-ერთ «სელიმობაზე», გმირის სახელობის მუნიციპალური პრემიაც დაწესდა და იგი იმ ადამიანებს გადაეცათ, რომლებიც სელიმის მამულიშვილური ღვაწლის წარმოჩენისთვის ბევრს აკეთებდნენ.

წლევანდელი «სელიმობა» ნიგაზეულელებმა საფლავის მონახულებითა და სელიმისადმი პატივის მიგებით დაიწყეს. ბაკოში გამართულ ღონისძიებაზე ნიგაზეულის საჯარო სკოლის პედაგოგმა ვასო ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ ამიერიდან ყოველ «სელიმობას» საფლავზე მისვლით და პატივის მიგებით დაიწყებენ. არადა, საზოგადოებას ახსოვს, რომ თეიმურაზ კომახიძის, რამაზ სურმანიძის სიცოცხლეში, რამდენიმე «სელიმობა» საფლავის მონახულებიდან დაიწყეს.

სხალთის ხეობის კარიბჭეშია შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი. «სელიმობის» წლევანდელ დღესასწაულზე მას დამთვალიერებლები ბლომად ჰყავდა. მუზეუმის დირექტორმა იზოლდა სურმანიძემ ზეიმის მონაწილეებს სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების საგმირო საქმეებზე ესაუბრა.

- სხალთის ხეობა, მისი ისტორიული წარსული ჩემთვის უცხო არაა, - გვითხრა საქართველოს ჩოხოსანთა დასის აჭარის სადროშოს ხელმძღვანელმა თენგიზ თავდგირიძემ. - წინა საუკუნის 80-იან წლებში აქ პედაგოგად გამამწესეს. მიხარია ის სახეცვლილება, რასაც ახლა ვხედავ. ამ შენობაში სხალთის კოლმეურნეობის ადმინისტრაცია და სხალთის კულტურის სახლი იყო განთავსებული. მეცენატ თეიმურაზ კომახიძისა და მისი მეუღლის ნარგიზ აბაშიძის ხელდასმით, შენობა შერიფის სახლ-მუზეუმად გადაკეთდა. მუზეუმის დირექტორმა გვაუწყა, რომ აქ დაიდგმება თეიმურაზ კომახიძის ბიუსტი მისი საქმიანობის უკვდავსაყოფად, რაც მისასალმებელია.

სხალთის ხეობაში უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორი, სტუმარი და თვით ამ ხეობის მცხოვრებლები ხიხანის ციხის შემოგარენში არსებულ სოფლებში რომ მიდიან, კვატიის წყაროსთან უცილობლად შეისვენებენ. ტრადიცია არც «სელიმობის» მონაწილეებმა დაარღვიეს. ორგანიზატორებმა ისინი სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟეს.

სოფელ ბაკოში, სერიყანის უბანში, სტუმრებმა მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს და შემდეგ ბაკოს საჯარო სკოლის სტადიონზე გადაინაცვლეს.

ღონისძიებას პოეტი ნანა შაინიძე, რამაზ ხმალაძე უძღვებოდნენ. «სელიმობა» შეკრებილთ მიულოცეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანზორ ბოლქვაძემ, ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეებმა რენარ ბოლქვაძემ, როსტომ ლორთქიფანიძემ, ხულოს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძემ, «აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოების» თავმჯდომარემ, ემერიტუს პროფესორმა სერგო დუმბაძემ, ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ დიასამიძემ, პოლიტიკოსმა თინათინ გიორგაძემ, ბაკოს საჯარო სკოლის დირექტორმა ხარიტონ დუმბაძემ, აჭარის მუფთმა ადამ შანთაძემ. პოეტებმა გულიკო გაბაიძემ და ნანა შაინიძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

«სელიმობის» ზეიმის მხატვრული პროგრამა ხიხაძირის, საციხურის, სხალთის, ვერნების სასოფლო კულტურის სახლებთან, ხიხაძირის, ხულოს სახელოვნებო სკოლებთან არსებულმა ფოლკლორულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: «ხიხანი», «საციხური», «სხალთა», «მერცხალი» გაალამაზეს. საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგა ხულოს სახელოვნებო სკოლასთან ახლად ჩამოყალიბებული ანსამბლი «მერცხალი» (ხელმძღვანელი მანანა მელაძე).

ბაკოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სელიმისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

ბოძაურელი იმედა შავაძე 20 წლამდე ასაკის ძალოსანთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა 67-კილოგრამიან წონით კატეგორიაში. მას და სპორტსმენის მწვრთნელ ვარლამ ხოზრევანიძეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ საპატიო დიპლომები გადასცა.

კომპოზიტორმა მანანა გაბაიძემ პოეტ გულიკო გაბაიძის ლექსზე მუსიკა დაწერა. სიმღერის პრემიერა «სელიმობაზე» შედგა და იგი ცირა თურაძემ შეასრულა.

სელიმის შთამომავალმა, მხატვარ ზურაბ ხაბაძის ახლობელმა გულნარა ბოლქვაძემ მხატვრის ფერწერული ტილო «სელიმი» ხულოს მუნიციპალიტეტს საჩუქრად გამოუგზავნა. თავად, გარკვეული მიზეზის გამო, წლევანდელ ზეიმს ვერ დაესწრო, ტილო ვახტანგ ბერიძეს გულიკო გაბაიძემ გადასცა.

«სელიმობის» მონაწილენი სოფელ მთისუბანშიც იყვნენ. ამ სოფლის საჯარო სკოლა შერიფ ხიმშიაშვილის სახელობისაა. მთისუბნის ქოჩახის უბანში, დედის - დუდი-ხანუმ ბეჟანიძე-ხიმშიაშვილის გვერდით, შერიფი განისვენებს. მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.

- შერიფის როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში უდიდესია, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, - თანასოფლელებთან ერთად მის საფლავზე მოვედი და პატივი მივაგეთ შერიფის ხსოვნას, რომელსაც დანაბარები შეუსრულეს და პეტერბურგში გარდაცვლილს, სამუდამო განსასვენებელი ხიხანის ციხის სიახლოვეს, დედის გვერდით მიუჩინეს.

ადამ შანთაძე: - ჩვენ თუ არა, სხვამ ვინ უნდა იცოდეს ქვეყნის დამოუკიდებლობის ფასი. ასრულდა დიდი მამულიშვილის სურვილი - საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მას ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ და მოვუაროთ, როგორც თვალისჩინი. ქართველებს დანაწევრებით, დაშლა-დაქუცმაცებით წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევიათ. ახლა გვმართებს სამშობლოს ერთგულება.

ნარგიზ დეკანაძე: - საჯარო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოებში ძალიან მწირი ფაქტებია შეტანილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაზე, ოსმალთა ბატონობისგან აჭარის განთავისუფლებაზე. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ჩვენს მიერ ინიცირებული პროექტი, სელიმისა და შერიფის ღვაწლს წარმოაჩენს, რომელსაც საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს. მიღებული დადგენილება კომპეტენტურ ორგანოებს გაეგზავნება. ისტორიის გაყალბება არავის ეპატიება.

ვახტანგ ბერიძე: - «სელიმობის» დღესასწაულზე დიდი მოწიწებით მოვდივარ. ჩვენ იმ იდეების დამფასებლები და ცხოვრებაში გამტარებლები უნდა ვიყოთ, რაც სელიმ ხიმშიაშვილის სადარ ქართველებს ასულდგმულებდა. მის უკვდავსაყოფად რაც გაკეთდა, ეს მცირედია, კიდევ ბევრის გაკეთება გვაქვს ჩაფიქრებული.

ნანა შაინიძე: - ჩემი დამოკიდებულება სელიმის გმირობისადმი ლექსით გამოვხატე:

სელიმს...

თითქოს მთებიდან ზვავი დაქანდა,
ცა დაიმეხა იმ დღეს,
ტყემ აიჯაგრა გულზე ბალანი,
თავის კვეთა რომ გითხრეს...
რკინის ჯალათი და განაჩენი
შავი სუდარით გედგა,
ხიხანის მთები ბანს იძლეოდნენ,
როცა გსტიროდა დედა!
უდრეკი სულით იდექი მედგრად,
ჭვრეტდი სამშობლოს ხვალეს,
რამდენ მტერს დილის მზე დაუბნელე
- დღემდე ვერ დაითვალეს...
ვერ მოერია დრომ შენს დიდებას,
ვერც შენს შეწირულ სახელს.
მედიდგულები, კვლავაც მშურს შენი
- ამას ხმამაღლა ვამხელ!
სამშობლოსათვის თავის შეწირვა,
არის რჩეულთა ხვედრი,
რამდენი გმირი გამოგვეზარდა
შენს მაგალითზე დღემდის!
ერთმა შეძელი საკეთებელი,
თითქოს უთვალავ სპათა,
არ შერჩებაო, ხომ დაგვიბარე -
გურჯისტანიო, სპარსთა!
ჰოდა, არ შერჩა, ვერ შეირჩინეს,
აღსრულდა სიტყვა შენი!
შენი გმირობა ტანჯულ სამშობლოს
ოქროს სამკერდედ შვენის!..
შენისთანებმა გადაარჩინეს
ენა, მამული, სჯული...
ყოველ აჭარელს გულში უნთია
ნაწილი შენი სულის!

«ოპერაცია, რომელიც 16-18 საათს გრძელდება, მეგობრობის, კოლეგიალობის თვალსაჩინო მაგალითია»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

რუსლან გოლქვაძე - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ონკოქირურგი, «საპატიო შუახეველი», «საპატიო ჭვანელი», მსოფლიო ფორუმების მონაწილე... დღეს ის ჩვენი სტუმარია.

- ბატონო რუსლან, გზა, რომელიც დღემდე გამოიარეთ...

- პედაგოგის ოჯახში ვიზრდებოდი. მამამ ჯერ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო უმაღლესი განათლება, შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიკოსის სპეციალობას დაეუფლა. სკოლას, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, დიდი და სახელოვანი წარსული ჰქონდა. მისი წინამორბედები იყვნენ ჭვანის ხეობასა და მთელ აჭარაში ცნობილი დირექტორები, განათლების სისტემის ქურუმები აკაკი და რევაზ ქათამაძეები. ისიც ცდილობდა, მათი გზა სიახლეებით გაემდიდრებინა. ღირსეული ხელმძღვანელის, თაობების აღმზრდელის სახელი ჰქონდა. წლების განმავლობაში ცხემლისის 8-წლიან სკოლას «ავთანდილ ბოლქვაძის» სკოლის სახელით იცნობდნენ. მამის შემართება შვილებსაც გადმოგვედო. ჭვანის საშუალო სკოლაში წარჩინებული მოსწავლე ვიყავი. წიგნის სიყვარულმა, პირადმა პასუხისმგებლობამ საფუძველი შემიქმნა, რომ ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სამკურნალო სპეციალობაზე გამეგრძელებინა სწავლა. აქაც წარჩინებით ვსწავლობდი, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე, მრავალი აქტივობის ინიციატორი ვიყავი. პროფესორ-მასწავლებლებმა რეკომენდაცია მომცეს, უნივერსიტეტში, ქირურგიის კათედრაზე დამეწყო მუშაობა. მეცნიერულ ძიებას აღმზრდელობითი ფუნქციაც შევუთავსე და 2006 წლიდან ლექციების კურსს ვკითხულობ რეგიონის ცოდნის ტაძარში. იმ წლებში საქართველოში იშვიათი იყო კლინიკა, სადაც არჩეული სპეციალობის შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მივიღებდი, ამიტომ ორდინატურა უკრაინის რესპუბლიკის კლინიკებში გავიარე. ახლა იმ წლებს რომ ვიხსენებ, ვხვდები, რა ამაგი ჩადეს უკრაინელმა ექიმებმა ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. იყო შემოთავაზებაც იქ დარჩენაზე, მაგრამ თავს მოვალედ მივიჩნევ, ჩემი უნარი და ცოდნა მშობლიური ქვეყნის სამსახურს, მის აღმასვლას მოვახმარო, რასაც პროფესიული სიყვარულითა და შესაძლებლობის მთელი მობილიზებით ვაკეთებ. უკრაინიდან დაბრუნებულმა ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ონკოქირურგად დავიწყე მუშაობა. პირველი დღიდანვე ვისწრაფვოდი იმისკენ, რომ საზოგადოებაში ღირსეული ექიმის სახელი დამემკვიდრებინა, ჩემი წილი გამეღო ამ უმძიმესი სენის დამარცხებაში. მარტო პრაქტიკა საკმარისი არ იყო, თეორიული ცოდნის გაღრმავებაზეც უნდა მეზრუნა, რაც უცხოეთის წამყვან კლინიკებში მივლინებას, მსოფლიოში ცნობილი ონკოქირურგების გამოცდილების გაზიარებას საჭიროებდა. ყველასთვის ცნობილია, რომ აჭარაში მომუშავე ქირურგებმა, პროფესორ კახაბერ ქაშიბაძის ხელმძღვანელობით, ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში პირველებმა შევძელით ღვიძლის ტრანსპლანტაცია, რამაც, ამ ეტაპზე, მასიური ხასიათი მიიღო. უკვე 10-ზე მეტი პაციენტი ცხოვრებას, შრომას უფლისა და ჩვენი წყალობით აგრძელებს. მარტო ადგილზე გაკეთებული ოპერაციებით არ შემოვიფარგლებით, მე და ჩემი კოლეგები თვეში ერთხელ უცხოეთში მივდივართ, კონფერენციებში, კონგრესებში, ცალკეული მიმართულებით სწავლებებში ვმონაწილეობთ, ახალი ტექნოლოგიებიც შემოგვაქვს.

- რამდენად ამართლებს ონკოლოგიურ დაავადებებში ქირურგიული ჩარევა?

- ქირურგიული ჩარევა ზედაპირულად, ხელის ერთი მოსმით, ერთი ექიმის პოზიციით არ ხდება. როცა ვიკრიბებით კონფერენციებზე, კონგრესებზე, დავა და კამათია, დავიწყოთ მედიკამენტური ანუ თერაპიული მკურნალობა თუ ქირურგიული ჩარევით ორგანიზმს დაავადებული ნაწილი მოვაშოროთ. ქირურგიას თავისი ჩვენება აქვს, თერაპიას - თავისი. გადაწყვეტილებას ყოველთვის ონკოლოგისა და ონკოქირურგის აზრის შესაბამისად ვიღებთ, თუმცა, როცა დაავადებული ნაწილის ამოკვეთა და შემდგომი მკურნალობა შედეგის მომცემია, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, ქირურგიულ ჩარევას 65 პროცენტს ვაკუთვნებთ.

- წელს რომელ ქვეყნებში იმყოფებოდით და რა გამოცდილებით დაბრუნდით?

- ღვიძლის გადანერგვის ცნობილი სკოლაა ინდოეთში. როცა ბათუმში პირველ ოპერაციებს ვაკეთებდით, ინდოეთიდან მოწვეული სპეციალისტები გვეხმარებოდნენ. აქ არსებული მდგომარეობა, ჩვენი შედეგები რომ გავაცანით, სამაგალითოდ მიგვიჩნიეს. საქმე მოუწონეს პროფესორ კახაბერ ქაშიბაძეს. საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა სტამბოლში, შემდეგ - ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, რომელშიც ვმონაწილეობდით. ოქტომბერში შვეიცარიაში მასშტაბური ღონისძიება იმართება, რომელიც კრიტერიუმებს დააწესებს სიმსივნურ პათოლოგიებზე და სხვა დაავადებებზე. ნოემბერში და გაისად, მაისში, ანალოგიური კონგრესები ამერიკის შეერთებულ შტატებში იგეგმება, თანაც თანამედროვე ტექნოლოგიებს გავეცნობით და ტაქტიკურ რჩევებს მივიღებთ.

- უცხოეთში ვიზიტებს პირად ბიუჯეტს ახმართ თუ...

- დასამალი არაფერია: პირადი ბიუჯეტით სამ წელიწადში ერთხელ ვერ შევძლებთ ასეთი მაღალი დონის ფორუმებზე გასვლას. ფორუმებში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში მეცნიერული სტატიების დაბეჭდვა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და საჯაროდ მადლობას ვუხდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს რექტორატსა და მენეჯმენტს გაწეული დაფინანსებისთვის.

- მამის როლი უკვე აღნიშნეთ. დედაზე რას გვეტყვით?

- დედა რომ გარდაიცვალა, მესამე კლასის მოსწავლე ვიყავი. ის სიზმარივით მახსოვს, მის სახეს შემონახული ფოტოებით აღვიდგენ და ასე ვეფერები. დღემდე ჩემთვის ყველაზე დიდი ტკივილი დედის გარეშე განვლილი ცხოვრებაა. მამამ შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო, რომ შვილებისთვის ეს სიცარიელე შეევსო. მისი თანადგომა, მხარდაჭერა სიცოცხლის ბოლომდე არ მოგვკლებია, თუმცა ისიც ნაადრევად წავიდა წუთისოფლიდან. სარეცელს რომ მიეჯაჭვა, ზრუნვა და თანადგომა არ მიმიკლია. გული მტკივა, რომ დედისთვის ვერ ვიზრუნე ასე.

- მამა თქვენს წარმატებას ვერ მოესწრო. როცა მასზე საუბრობთ, რა გახსენდებათ ყველაზე მეტად?

- მისი პატიოსანი, ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ გაწეული შრომა. მართალი სიტყვით, კეთილი ურთიერთობებით ცხოვრობდა და უკან მოხედვის არ ეშინოდა. ბავშვებს ისტორიულ ამბებს რომ გვიყვებოდა, მუდამ ჭვანის ხეობის, სოფლის წარსულს აკავშირებდა. ყველა წარმატებული საქმის გვირგვინად შრომას მიიჩნევდა. თუ უფალმა ინება და მამის როლი მარგუნა, შევეცდები, შვილებთან ურთიერთობაში ისეთი ვიყო, როგორიც მამა.

- «საპატიო შუახეველის» წოდების მატარებელთაგან ყველაზე ახალგაზრდა ხართ...

- მანამდე «საპატიო ჭვანელის» წოდებაც მივიღე. სამშობლო, მშობლიური კუთხე თითოეული ადამიანისთვის წმინდა ცნებებია და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მის წინაშე ვალშია. კარგია, როცა ხეობა, რაიონი, იქ მცხოვრები ადამიანები ამაგს გიფასებენ. ამ ჯილდოებს ჩემს ცხოვრებაში, საქმიანობაში გამორჩეულ ადგილს ვუთმობ.

- მშობლიური კუთხის სიყვარულს პაციენტებთან ურთიერთობაში როგორ გამოხატავთ?

- ჩემი სფერო ონკოლოგიაა, ამ დაავადებით დასნებოვნებულ პაციენტებს, კლინიკურ ჩარევასთან ერთად, ფსიქოლოგიური თანადგომაც სჭირდებათ. ჩემი პრაქტიკული მუშაობის პერიოდში, აჭარის მთიანეთის მკვიდრებს ჩემთან ფინანსურ მხარესთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონიათ და არც მომავალში ექნებათ. მათ კონსულტაციებს უფასოდ ვუტარებ. გარდა ამისა, ქედაში, შუახევსა და ხულოში ჰუმანიტარულ აქციებზე მივდივარ, რიგ მედიკამენტებს სოციალურად დაუცველების, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ჩემი ბიუჯეტიდან ვიძენ. ვცდილობ, საქველმოქმედო საქმიანობა არ შევაჩერო.

- საზოგადოებას კარგად ახსოვს ის თანადგომა, რომელიც შუახევის რეფერალურ ჰოსპიტალს გაუწიეთ, როცა იგი კვალიფიციური ექიმებისგან დაიცალა...

- შუახევის რეფერალურ ჰოსპიტალს ბაზა და სამედიცინო აპარატურა საკმარისი აქვს საქმიანობის გასაგრძელებლად, კვალიფიციური ექიმები კი ნამდვილად აკლია. ბათუმში მრავალი ექიმი ვართ, ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლა შუახევიდან რომ დავიწყეთ. საუბარია იმაზე, რომ წარსულის მსგავსად, გაკეთდეს გრაფიკი და ცნობილმა ექიმებმა უწყვეტ რეჟიმში, აქ მცხოვრებ პაციენტებს ადგილზევე მივხედოთ.

- სიყვარული თქვენს ცხოვრებასა და საქმიანობაში რა ადგილს იჭერს?

- ჰიპოკრატეს ფიცი საქმის სიყვარულთან ასოცირდება. დიდი სიყვარული შინაგან კულტურას მოითხოვს. მე სიყვარულს სამშობლოსთან, მშობლიურ კუთხესთან, ეროვნულობასთან ვაიგივებ. ამასთან, მთავარია, ადამიანები გიყვარდეს და ადამიანებს უყვარდე. ყველაფერი ძველდება მიწისქვეშეთში, ცვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს. ინავლება სიყვარულიც, მაგრამ კვლავ ამოგიზგიზდება.

- ზაფხული დადგა. ალბათ, გული დასვენებისკენ მიგიწევთ?

- დასასვენებლად იშვიათად მივდივარ, შვებულებითაც ნაკლებად ვსარგებლობ. ივლისის დასაწყისიდან პოლონეთის რესპუბლიკაში ვაპირებ გასვლას, ონკოქირურგიაში კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. თემა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებს ეხება. გავეცნობი მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს, მიდგომებს. საამისოდ გრანტიც მაქვს მოპოვებული. სავარაუდოდ, სექტემბრის შუა რიცხვებში დავუბრუნდები მშობლიურ კუთხეს.

- ლექციების კურსი ორ უნივერსიტეტში მიგყავთ...

- სტუდენტებთან ურთიერთობა ჩემი საქმიანობის ქვაკუთხედია. აქტიურად ვარ ჩართული საგანმანათლებლო პროგრამებში. ხიჭაურის უნივერსიტეტი პრაქტიკოს მედდებს ამზადებს. ჩვენი პროგრამების საფუძველზე სანიმუშო კადრები მომზადდა. ისინი პროფესიულ საქმიანობას აგრძელებენ წამყვან კლინიკებში. ბათუმის უნივერსიტეტს, სამედიცინო თვალსაზრისით, სადოქტორო პროგრამა არ აქვს, იგი მზადების პროცესშია. გაჩნდება ბაზა, რომ დოქტორანტები ადგილზე მომზადდნენ. პროგრამამ ავტორიზაცია-აკრედიტაცია გაიარა.

- მეგობრები - თქვენს ცხოვრებაში...

- მშობლების შემდეგ, უპირველეს ადგილს მეგობრებს დავუთმობ. მათ გვერდში დგომით, ერთობლივი მუშაობით ავტორიტეტი შემძინეს. აქვე გეტყვით, რომ ოპერაცია, რომელიც 16-18 საათს გრძელდება, მეგობრობის, კოლეგიალობისა და ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითია. ამ დროს ღალატი, განზე დგომა გამორიცხულია.

- მათ შორის ხართ, ვინც პროფესორ შოთა მახარაძის მიერ დაფუძნებულ გაზეთ «შუახევს» ასულდგმულებთ.

- პრესის თაყვანისმცემელი და კარგი მკითხველი ვარ. დიდ საქმეს ხელის წახმარება არ აწყენს. მე მინიმუმს ვაკეთებ, რომ გაზეთმა არსებობა არ შეწყვიტოს, ისტორიას აქ გაკეთებული საქმეები შემოუნახოს, ის ადამიანები გააცნოს, რომლებიც ქვეყნისთვის ირჯებიან.

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთი საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლით რაკეტებისა და სხვა იარაღის დასამზადებლად მომწოდებლების მსოფლიო ქსელს იყენებს. მისი თქმით, გასული ოქტომბრიდან რუსეთმა ასობით რაკეტა გაუშვა უკრაინული სამიზნეებისკენ. ზელენსკი ამბობს, რომ კარგად იცის სანქციების თავიდან აცილების მიზნით რუსეთის ყველა მცდელობა და შეეცდება, უზრუნველყოს, რომ „რუსულ რაკეტებში თავისუფალი მსოფლიოს პროდუქტები არ იყოს“. აპრილში ზელენსკის უფროსმა თანაშემწემ განაცხადა, რომ უკრაინული ძალები რუსულ იარაღში, რომლებიც გამოიყენება უკრაინაში, პოულობენ ჩინურ კომპონენტებს, ჩინეთი კი რუსეთისთვის სამხედრო ტექნიკის გაგზავნას უარყოფს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანი აცხადებს, რომ შეერთებული შტატების პროგნოზით, უკრაინა მოსალოდნელი კონტრშეტევით „სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას“ დაიბრუნებს. „ზუსტად რამდენად, რა ტერიტორიაზე მოხდება, დამოკიდებულია ადგილზე განვითარებულ მოვლენებზე, როდესაც უკრაინელები კონტრშეტევას დაიწყებენ, მაგრამ გვჯერა, რომ უკრაინელები წარმატებას მიაღწევენ“, - აღნიშნა სალივანმა. კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე რაიმე სახის მოლაპარაკებებს მოელის, სალივანმა უპასუხა, რომ ნებისმიერ მომავალ მოლაპარაკებებზე იმოქმედებს ბრძოლის ველზე განვითარებული მოვლენები. „მაგრამ ვიტყვი ამასაც: თავად პრეზიდენტმა ზელენსკიმ თქვა, რომ ეს ომი საბოლოოდ დიპლომატიის გზით დასრულდება“, - აღნიშნა სალივანმა.

* * *

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვა 5 ივნისს, ყოველდღიურ მოკლე მიმოხილვაში წერს, რომ 2023 წლის მაისში რუსეთი უკრაინას 300-ზე მეტი ირანული „შაჰედით“ დაესხა თავს. დაზვერვის ცნობით, ამ იარაღს ყველაზე ინტენსიურად იყენებენ დღემდე. დაზვერვა ვარაუდობს, რომ რუსეთი ასეთი ინტენსიური თავდასხმების სერიით ცდილობს, უკრაინამ გახარჯოს ძვირად ღირებული საჰაერო თავდაცვის რაკეტების მარაგი. ამავე დროს, ბრიტანული დაზვერვა ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ რუსეთმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას - უკრაინამ გაანეიტრალა ირანული დრონების მინიმუმ, 90%, ძირითადად, ძველი და იაფი საჰაერო თავდაცვის იარაღის გამოყენებით. „რუსეთი ასევე ცდილობდა, უკრაინული ძალების აღმოჩენას და დარტყმას ფრონტის ხაზის უკან. თუმცა, რუსეთი კვლავინდებურად ძალიან არაეფექტურია ასეთი დინამიკური სამიზნეების დარტყმაში“, - წერს დაზვერვა.

* * *

ლატვიამ უკრაინას ნასვამი მძღოლებისთვის ჩამორთმეული 66 ავტომობილი გადასცა. ამის შესახებ Delfi წერს. „უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის მხარდაჭერის შესახებ“ კანონის თანახმად, ლატვიის სახელმწიფოს კუთვნილი მანქანები უკრაინას შესაძლოა უფასოდ გადაეცეს, რაც უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამსახურს საქმიანობის განხორციელებაში დაეხმარება. ლატვიის პოლიციის ინფორმაციით, 24 საათის განმავლობაში ნასვამ მდგომარეობაში 17 მძღოლი დააკავეს. ნასვამ მდგომარეობაში მართვის ფაქტზე ოთხი ადმინისტრაციული საქმე და 13 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ხუთ შემთხვევაში დაკავებულ მძღოლებს სატრანსპორტო საშუალება ჩამოერთმევათ, რვა მძღოლს კი ავტომობილის ღირებულების გადახდა დაეკისრება. ასეთი გადაწყვეტილება ლატვიას პირველად არ მიუღია. პირველად 7 მარტს გადაწყდა, რომ ნასვამი მძღოლებისთვის ჩამორთმეული რვა მანქანა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს არმიის ნაწილებს, ვინიცის კლინიკური საავადმყოფოსა და ხარკოვის რეგიონის სამედიცინო გაერთიანებას გადაეცეთ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

როდის კარგავს თავს და კვლავ იბრუნებს თეო შამილაძე?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*დრამისა და კინოს მსახიობი **თეო შამილაძე** 20 წელზე მეტია, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობია. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „დარისპანის გასაჭირი“, „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“, „ორი ბატონის მსახური“, „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ და სხვა. შვილის შეძენის შემდეგ თეატრს გამოეთიშა, თუმცა 5-6-წლიანი პაუზის შემდეგ სცენას ისევ დაუბრუნდა და საყვარელი საქმე გააგრძელა. თეოს მიღებული აქვს არაერთი პრემია. მისი ერთ-ერთი ჯილდო გახლავთ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპექტაკლში „დარისპანის გასაჭირი“ (კაროჟნა).*

- მოგვიყევით თქვენზე...

- დავიბადე ხელოვანების ოჯახში, დედა - მსახიობი, მამა - მუსიკოსი. სახლშიც, ალბათ წარმოიდგენთ, როგორი ხალხი ტრიალებდა და გვსტუმრობდა. სიმართლე გითხრათ, მსახიობობას არც ვაპირებდი, სანამ ერთხელაც ლევან მირცხულავამ არ შემოგვთავაზა მე და დედას, იქნებ მოვიდეს და ჩაბაროს ჩვენს ახალდაარსებულ ინსტიტუტშიო, სადაც არაჩვეულებრივ პედაგოგთა გუნდი უძღვებოდა სწავლებას. პირველი კურსი თავისუფალ მსმენელად ვიყავი, რადგან სკოლაც კი არ მქონდა დამთავრებული - 15 წლის ვიყავი, მეორე კურსიდან კი უკვე სრულუფლებიანი სტუდენტი გავხდი. თეატრში 18 წლისამ დავიწყე მუშაობა და მას შემდეგ 23 წელია, ვმუშაობ. იღბლიანი აღმოვჩნდი, რადგან საქართველოში საუკეთესო რეჟისორებთან მომიწია მუშაობა: რეზო მირცხულავასთან, გიზო ჟორდანიასთან, რობერტ სტურუასთან, გიორგი თავაძესა და ანდრო ენუქიძესთან. მახსოვს, ჩემი პირველი როლი რობერტ სტურუას სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირში“ ვითამაშე, რამაც წარმატება მომიტანა. ამას სხვა სპექტაკლებიც მოჰყვა - „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“, „ორი ბატონის მსახური“, „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ და სხვა. ჯამში ალბათ 15-17-ამდე პიესაში ვითამაშე, თუ ზუსტად მახსოვს. შემდეგ გოგონა შემეძინა და პროფესიაში საკმაოდ დიდი პაუზა დაიწყო. 5-6 წელი სცენაზე არ ვმდგარვარ. ამასობაში ჩვენს თეატრში ახალი ხელმძღვანელი, ბატონი ნუკრი ქანთარია მოვიდა და სწორედ მან დამაბრუნა სცენაზე. განცდა მქონდა - ვაი, თუ ისე ვეღარ შევძლო ჩემი საქმე, როგორც ადრე, თუმცა პრემიერამ არაჩვეულებრივად ჩაიარა.

- როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი თვისება, რომელიც მსახიობს უნდა ახასიათებდეს?

- თავდაჯერებულობა და გამბედაობა, ასევე, შრომა და ბევრი ფიქრი ყოველი როლის დამუშავებისას.

- მსახიობი რომ არ ყოფილიყავით, რომელ პროფესიას აირჩევდით?

- მსახიობობა რომ არა, ალბათ, მაინც ხელოვნების რომელიმე სფეროში ვიქნებოდი. ბავშვობიდან ბალერინობა მინდოდა, ბალეტზე ვგიჟდებოდი.

- თქვენ მიერ შესრულებული როლი, რომელიც განსაკუთრებულად მოგწონთ...

- ჩემთვის ყოველი როლი, რაც კი მითამაშია, განსაკუთრებულია. გინდ პაწაწუნა იყოს და გინდ - დიდი. ყოველ როლზე მუშაობისას ვიყვარებ მას და შემდეგ ვიწყებ სახის შექმნას. ყოველ ჯერზე ვიყვარებ და ვითავისებ. ასე რომ, ყოველი მხატვრული სახე ჩემი ცხოვრების ნაწილი ხდება.

- თუ არსებობს ისეთი როლი, რომელიც ჯერ არ გითამაშიათ, მაგრამ გინდათ, რომ შეასრულოთ?

- საერთოდ, ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, ისეთი როლების შესრულება მხვდა წილად. შეყვარებულიც მითამაშია, ბავშვიც, კაციც, დედაც... ალბათ უფრო ფანტასმაგორიული ჟანრი მიტაცებს, კომედია, მაგრამ ტრაგედიაშიც მაინტერესებს საკუთარი ძალების მოსინჯვა.

- როგორია თქვენი სამუშაო პროცესი, როგორ ქმნით პერსონაჟს?

- ყოველ ახალ პიესაში ახალი როლის შექმნისას იბადება სხვა თეო, ის თეო, რომელიც იმ კონკრეტული პიესის გმირია. გარდაქმნა ხდება ჩემში და მთელი იმ მუშაობის პროცესში სხვა ადამიანი ვარ, ანუ დილითაც და ღამითაც მხოლოდ პერსონაჟის იერგვლივ ტრიალებს ჩემი ფიქრები. მნიშვნელობა არ აქვს, ქუჩაში ვარ, ვჭამ, თუ, უბრალოდ, ვზივარ, სულ ამ პერსონაჟის მანერებზე, ქცევებზე ვფიქრობ და ამ დროს ხასიათიც მეცვლება, მიხვრა-მოხვრაც, საუბრის მანერაც. ეს ხდება მანამ, სანამ მუშაობას არ დავასრულებ და პრემიერა შედგება. შემდეგ ისევ ძველ, „საკუთარ“ თეოს ვუბრუნდები.

- და მაინც, თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც კონკრეტული როლი რეალურ ცხოვრებაშიც გადმოგყოლიათ?

- ჩემი პირველი როლი კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“ ვითამაშე. აქ იმდენ ხანს გასტანა რეპეტიციებმა (სადღაც 6 თვე), ისე გავითავისე ამ პატარა გოგონას სახე, რომ კარგა ხანს გამყვა მისი თვისებები ცხოვრებაშიც.

- ვფიქრობ, კაროჟნასგან ძალიან განსხვავდებით... მაინც, რომელი გმირის ხასიათია თქვენთან უფრო ახლოს?

- კაროჟნა ადრე ვიყავი, ასე ვთქვათ, წინა საუკუნეში... ახლა ბევრი პერსონაჟია ჩემში, ხან დრამატული, ხან კომედიური ჟანრიდან. ჰოროსკოპით მერწყული ვარ და თვისებებიც მისთვის დამახასიათებელი მაქვს - თავისუფლების მოყვარული ვარ, ჩარჩოების გარეშე და მრავალფეროვანი ტონებით გამდიდრებული ცხოვრება მიყვარს, ამიტომაცაა ჩემში ზოგჯერ 10 პერსონაჟი თავმოყრილი.

- იმ რეჟისორებს შორის, რომლებთანაც გიმუშავიათ, ვის და რატომ გამოარჩევდით?

- ჩემი შემოქმედების უდიდესი ნაწილი რეჟისორ გიორგი თავაძის სპექტაკლებთანაა დაკავშირებული. მას გამოვარჩევდი, რადგან შეიძლება ითქვას, მასთან მეორედ დავამთავრე ინსტიტუტი. ის მარტო რეჟისორი კი არა, ვფიქრობ, ახალგაზრდებისთვის საუკეთესო პედაგოგიც იყო. მისი დახმარებით საკუთარი თავი სხვანაირად აღმოვაჩინე და ჩემი შესაძლებლობების სხვადასხვა კუთხე დავინახე.

- კინო თუ თეატრი?

- თეატრში ბევრი რამ ვცადე და გამოვიარე. ახლა კინოც მაინტერესებს. მქონდა 1 თუ 2 როლი კინოშიც, მაგრამ ვთვლი, რომ კინემატოგრაფიაშიც ბევრი საინტერესო და საიდუმლო რამ არის, რაც ჯერ არ ამომიხსნია და მინდა, ვცადო.

- გახსოვთ თუ არა ის შეგრძნებები, რომლებიც თქვენს სადებიუტო გამოსვლას მოჰყვა?

- ჩემი დებიუტი გიზო ჟორდანიას სპექტაკლში შედგა. ბავშვთა ოპერისა და ბალეტის სპექტაკლ „პრინცესა ტურანდოტში“ მიმიწვია წამყვანად. თუმცა მარტო წამყვანობა არ იყო, აქაც როლში ვიყავი, ხალხს სხვადასხვა ქვეყანასა და საუკუნეში ვამოგზაურებდი. ასეთი სტილი საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, თან ამ სპექტაკლით არაერთი ქვეყანა და ქალაქი მოვიარეთ, უდიდესი წარმატებაც ჰქონდა ამ საოპერო სპექტაკლს.

- რას ნიშნავს თქვენთვის ხელოვნება?

- როცა ადამიანი ხელოვნებაში შედგამს ფეხს, ის მისი სამსახური კი არა, ცხოვრების უდიდესი ნაწილი ხდება. ყველაფერს ამ სამყაროს თვალით უყურებ და თავიდან ბოლომდე იქ ხარ ჩაფლული. ხელოვანი ადამიანი ყველაფერს სხვა თვალით უყურებს, ჩვეულებრივად მასთან არაფერი ხდება.

- რაღაც პერიოდი სცენას გამოეთიშეთ, რამდენად რთული იყო საყვარელი პროფესიის გარეშე ცხოვრება?

- შვილი რომ შემეძინა, 6 წლით გამოვეთიშე თეატრს, რადგან ჩვენ, მსახიობებს ისეთი პროფესია გვაქვს, თავით ფეხებამდე უნდა ჩავეფლოთ ამ სფეროში. არაფერი გახსოვს, როცა რაიმე პიესაზე მუშაობ. ყოფილა მომენტიც, როცა გამთენიისას - 3-4 საათზე მივსულვარ რეპეტიციიდან სახლში, ამიტომ ან ერთი უნდა მეკეთებინა, ან მეორე. რა თქმა უნდა, მეორე ვარჩიე - გამეზარდა შვილი და ამას არცერთი წამით არ ვნანობ. დედისთვის შვილი კიდევ სულ სხვა ხელოვნება და ფილოსოფიაა. თუმცა ჩემი პატარა გაიზარდა და მეც დავუბრუნდი სცენას. უაღრესად სიამოვნებს ჩემს გოგონას, როცა დედას სცენაზე ხედავს და კიდევ უფრო ამაყია, როცა ქუჩაში ხალხი აჩერებს და ცნობენ.

- თუ იგეგმება ახალი სპექტაკლი, რომელშიც მაყურებელს თქვენი ხილვა შეეძლება?

- მალე სეზონს ვხურავთ. მომდევნო სეზონზე კი არის რაღაც შემოთავაზებები, თუმცა ამას მკითხველისთვის საიდუმლოდ დავტოვებ. ახალი სეზონი უფრო საინტერესო პიესებით და სპექტაკლებით დაიწყება. მოკლედ, მაყურებელს მრავალფეროვნება ელის.

„ჩვენ გვჭირდება მნიშვნელოვანი მოთამაშეები, როგორიც საქართველოა“

ჩვენი სამი ქვეყანა - ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი და ავსტრია ევროპაში საქართველოს საუკეთესო მეგობრებს შორისაა. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს პროდასავლურ მისწრაფებებს, მათ შორის ევროკავშირსა და ნატოში წევრობას, - ამის შესახებ ჩეხეთის პარლამენტის თავმჯდომარე მარკეტა პეკაროვა ადამოვამ განაცხადა (ჩეხეთი და სლოვაკეთი ნატოს წევრი სახელმწიფოებია, ხოლო ავსტრია სამხედრო ალიანსის წევრი არაა).

პეკაროვა ადამოვას თქმით, საქართველო ევროპის ნაწილია და მისი მომავალი ევროპაშია, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა კი მიუღებელი.

„ჩვენ ასევე გვინდა ძლიერი სიგნალი გავუგზავნოთ რუსეთს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მიუღებელია. საქართველოს დიდი ნაწილის ოკუპაცია და რუსეთის მიერ ე. წ. სახელმწიფოების შექმნა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა - სქემა, რომელიც რუსეთმა გამოიყენა აქ და სხვა სუვერენულ ქვეყნებში, როგორიცაა მოლდოვა და უკრაინა“, - აღნიშნა ჩეხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ.

„ჩვენ ერთად უნდა დავდგეთ რუსეთის საფრთხის წინაშე. ევროკავშირი და ნატოს ქვეყნები ახლა უფრო ერთიანები არიან, ვიდრე ოდესმე. პუტინი ვერასდროს შეძლებს ჩვენს გაყოფას. ჩვენ გვჭირდება სხვა მნიშვნელოვანი მოთამაშეები, როგორიც საქართველოა, რომ მტკიცედ დარჩნენ ჩვენს რიგებში. მხოლოდ გაერთიანებულ დემოკრატიულ ქვეყნებს შეუძლიათ, შეაჩერონ პუტინის იმპერიული ამბიციები“, - აღნიშნა მარკეტა პეკაროვა ადამოვამ.

ჩეხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ ჩეხეთი საქართველოს ახლო მეგობარია და ისინი საქართველოს განვითარებაში ეხმარებიან. პეკაროვა ადამოვას თქმით, ჩეხური კომპანიები საქართველოში ინვესტიციებს, ძირითადად, ენერგეტიკის სფეროში დებენ. რაც შეეხება ჩეხეთსა და საქართველოს შორის ორმხრივ ვაჭრობას, ის მუდმივად იზრდება.

ამირან გურიელიძე

პოლიტიკაში მესამე ძალის შესაქმნელად მოვიდნენ...

მე-3 გვერდიდან

- მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი პოლიტიკურ პარტიებს არ ენდობა, ან იმედი აქვს დაკარგული. ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველა პლატფორმის გამოყენებით გავაჟღეროთ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, პრობლემები და მათი მოგვარების გზები. ასევე, დავარწმუნოთ ადამიანები, რომ თითოეულის ხმა გადამწყვეტია და მათი ჩართულობის გარეშე ქვეყნის განვითარება შეუძლებელია. გვინდა, რომ ადამიანებს დაუბრუნდეთ იმედი და პოლიტიკის მიმართ ნდობა. მე მესმის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული პარტიები არ ატარებდნენ საზოგადოების ფართო მასების (მოწყვლადი ჯგუფების) ინტერესებს და ამეტებდნენ ძალაუფლებას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ეს ტენდენცია და პოლიტიკა გავხადოთ საზოგადოების პრობლემების მოგვარების პლატფორმა.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: ექსპერტები ამბობენ, რომ შესაძლოა რუსეთმა „ტროას ცხენის“ მსგავსი საჩუქარი გაგვიკეთოს, ანუ შემოგვთავაზოს კონფედერაცია სამი სახელმწიფოს (საქართველო, აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) სახით, რას ფიქრობთ?

- აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ნაწილია და მისი ცალკეულ სახელმწიფოებად განხილვა წარმოუდგენლად მიმაჩნია. ბოლო პერიოდში პრორუსული პროპაგანდის გამტარებლები საუბრობენ, რომ პუტინი „გვაჩუქებს“ აფხაზეთს და ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთს, თუ უარს ვიტყვით დასავლურ კურსზე. ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს, ეს ცალსახა რუსული პროპაგანდაა. ქართველი კოლექტიური „სერგო ორჯონიკიძეები“ ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რათა „სტრატეგიულად მოვითმინოთ“ ქვეყნის დასავლური კურსის ცვლილება. რეალურად, ეს პროპაგანდა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს გარუსების პოლიტიკას. არც პუტინს და არც რუსეთის სხვა წარმომადგენლებს არსად უხსენებიათ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხი, მეტიც, ისინი ამ ტერიტორიებს ცალკეულ სახელმწიფოებად მოიხსენიებენ.

- დაბოლოს, რა გავლენა ექნება უკრაინაში მიმდინარე ომს ევროპისა და, უპირველეს ყოვლისა, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალზე?

- ეს ომი არის არა რუსეთ-უკრაინის, არამედ ბოროტების იმპერიისა და ცივილური სამყაროს დაპირისპირება, სადაც აუცილებლად დამარცხდება ბოროტება, ეს კი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალზე დადებითად აისახება. ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, თავი დავაღწიოთ რუსეთის მარწუხებს, რომელიც არ გვაძლევს განვითარების საშუალებას.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინაყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/06/23, 21 05 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა დასრულდა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, რომელშიც აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლები მონაწილეობდა: სულ - 82 ფოლკლორული ანსამბლი და 2 061 შემსრულებელი

მარათონი დასრულდა. გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა. დაჯილდოების ცერემონიასა და გალა კონცერტს, რომელსაც საოპერო მომღერალი არჩილ გოგიტიძე უძღვებოდა, ბათუმის ხელოვნების ცენტრმა უმასპინძლა. ჯილდოები წარმატებულ ანსამბლებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძემ გადასცეს.

წარმოგიდგენთ პირველ ადგილზე გასულ ანსამბლებს და გრან პრის მფლობელებს.

ანსამბლებიდან პირველი ადგილზე გავიდა მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის ფოლკლორული გუნდი „ჰანგები“ (ხელმძღვანელი - ეთერ დარჩიძე), ამ კატეგორიაში გრან პრის მფლობელი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების საჯარო სკოლასთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „მარეთი“ (ხელმძღვანელი - ავთანდილ დარჩიძე) გახდა.

ცეკვის ანსამბლებიდან უფროს ასაკობრივ კატეგორიაში პირველ ადგილზე ბათუმის საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლილე“ გავიდა (ხელმძღვანელი - ნუგზარ მიქაძე). ამ კატეგორიაში გრან პრის მფლობელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოჭოი, ნანა“ გახდა (ხელმძღვანელები - ალექსანდრე ხიდაშელი, თამარ ილდიზი, ლუკა ხიდაშელი).

უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში მოცეკვავეთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ბათუმის №15 საჯარო სკოლასთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „თოლია“ (ხელმძღვანელი - მუხრან დარჩიძე), გრან პრი კი ბათუმის №6 საჯარო სკოლასთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მთაწმინდამ“ (ხელმძღვანელი - გიორგი ფარსენაძე).

ჟიურის სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის ფოლკლორული გუნდის „ლაშე“ ხელმძღვანელი მანანა გაბაიძე, მელიტონ კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ სახელობის ჯილდო - ოლიმპიადის სპეციალური პრიზი, ხულოს სახელოვნებო სკოლასთან არსებულ ანსამბლ „ციცინათელას“ ხელმძღვანელმა მანანა მელაძემ დაიმსახურა. გამარჯვებულებს ფასიანი პრიზები გადაეცათ.

თორნიკე რიჟვაძემ გამარჯვებულებს წარმატება მიულოცა, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ქვეყნის სიყვარულს, მის ტრადიციებს, ფოლკლორს ბავშვობიდან რომ ასწავლიან. მან მადლობა გადაუხადა როგორც ღონისძიების ორგანიზატორებს, ისე მონაწილე ანსამბლებსა და მათ ხელმძღვანელებს. ბატონმა თორნიკემ ერთი სასიამოვნო ფაქტიც გააჟღერა - მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: გაისად გრან პრის მფლობელი ანსამბლების გასტროლები სრულად დააფინანსოს.

ოლიმპიადის შეფასება ქორეოლოგს, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს პროფესორს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელ უჩა დვალიშვილს ვთხოვეთ:

- უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტს ჩაუყარა საფუძველი და დღემდე წარმატებით ახორციელებს. ჟიურის „ტრადიციული“ წევრი ვარ - 10-12 წელია, ზედიზედ ჩამოვდივარ, არცერთი ოლიმპიადა არ გამომიტოვებია. გარდა ამისა, აქ ყოფნისას ვატარებ მასტერკლასებს ქორეოგრაფიაში და აჭარაში ხელოვნების განვითარებას ვადევნებ თვალს. მინდა ვთქვა, რომ წინა წლებთან შედარებით, დიდი წინსვლაა. ბევრი ანსამბლი წარმოჩნდა, რაშიც მასტერკლასების დიდი წვლილიცაა. სასიხარულოა, რომ გამარჯვებულ ანსამბლებს კოსტიუმებს უფასოდ უკერავენ. ეს მოტივაციას ზრდის. ახლა კიდევ შესანიშნავი ინიციატივით გამოვიდა ბატონი თორნიკე რიჟვაძე - გრან პრის მფლობელი ანსამბლების გასტროლებს მთავრობა დააფინანსებს. ეს ძალიან კარგია. ვფიქრობ, აჭარაში ქორეოგრაფია ძალიან მაღალ დონეზეა, როგორც ბავშვთა, ისე დიდების. უკვე სადადგმო ხელოვნების კუთხით სხვაგვარი ხედვა, აზროვნებაა. რამდენიმე ექსპედიცია მაქვს აქ ჩატარებული და ძალიან კარგად ვხედავ ამას. ცეკვა „განდაგანა“ ქორეოგრაფიული ხელოვნების არაჩვეულებრივი ნიმუშია, საერთოდ, აჭარული ფოლკლორი ძალიან სიღრმისეული და საინტერესოა. მას ქორეოგრაფების მეტი მზრუნველობა სჭირდება, მოხუცებისგან ბევრი უნდა შევისწავლოთ, მით უმეტეს, რომ გვყავს უნიკალური ხელწერით გამორჩეული ადამიანები, განსაკუთრებით - მთაში. ჩვენი ხელოვნება ერის გენეტიკური მეხსიერებაა. ეს ბავშვები რომ ამ ყოველივეს ეზიარებიან, ასე ნელნელა გადაეცემა თაობიდან თაობას, ამას დაფასება უნდა. მადლობა კიდევ ერთხელ თქვენს სამინისტროს და ყველა ქორეოგრაფს, ვინც ამ საქმეს მუხლჩაუხრელად ემსახურება.

- ჩვენი ანსამბლი 1994 წელს შეიქმნა და ორი წელი სახელწოდება არ გვქონდა. ერთ დღეს სკოლას ცნობილი პოეტი ზურაბ გორგილაძე ეწვია და ანსამბლი მის წინაშე წარსდგა. ვუთხარით, რომ ანსამბლისთვის სახელს ვარჩევდით. შემოგვთავაზა: ისე კარგად იცეკვეს ბავშვებმა „აჭარული“, „ოჭოი, ნანას“ ხომ არ დაარქმევდითო. რა თქმა უნდა, ყველამ ავიტაცეთ ეს წინადადება. იმ დღის მერე ანსამბლი დიდი სიამაყით ატარებს ამ სახელს. აქ 130 ბავშვი ცეკვავს, მოსამზადებელ ჯგუფში კი 170 მოსწავლეა. გვიხარია, რომ წელსაც მოვიპოვეთ მაღალი ჯილდო. ეს ჩვენთვის მეშვიდე გრან პრია, - გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ხიდაშელმა.

თანამედროვე თურქი მხატვრების გამოფენა

აჭარის მხატვართა კავშირისა და ბათუმში თურქეთის გენერალური საკონსულოს ერთობლივი ინიციატივით, ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში თანამედროვე თურქი მხატვრების გამოფენა გაიხსნა. აქ წარმოდგენილია 31 მხატვრის ფერწერული ნამუშევარი სხვადასხვა თემაზე. მათგან ბათუმში სამი იმყოფებოდა - ეკრემ ქუთლუ, ზუმრუთ შენ, ბილალ იაზიჯი

როგორც აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ აღნიშნა, აქჩაბადი და ბათუმი დაძმობილებული ქალაქებია და პერიოდულად სხვადასხვა კულტურული გაცვლითი ღონისძიებები ეწყობა.

გამოფენაზე იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში რიზა ქაან ილმაზი, ქალაქ აქჩაბადის მერი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი თამარ გუდავა...

- ურთიერთგაცვლითი პროგრამით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის გამოფენები, ხალხებს, ქვეყნებს აკავშირებს, ამეგობრებს. სასიხარულოა, რომ თურქი მხატვრების გამოფენა ჩვენს ქალაქში, ძალიან კარგ დარბაზში მოეწყო. ივლისში ბათუმელი მხატვრები გაემგზავრებიან აქჩაბადში და თავიანთ ნამუშევრებს წარადგენენ, - აღნიშნა აკაკი ძნელაძემ.

- გამოფენაზე ძალიან საინტერესო მხატვრებია აქ წარმოდგენილი. რამდენიმე პირადად გავიცანი სხვადასხვა სიმპოზიუმზე. გვაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო აქ წარმოდგენილი თურქი ქალი მხატვრები, მათ შორის გულაი იუქსელი, გულერ ელორი და იასემინ ქალიონჯუ. მათ ახლოს ვიცნობ, გამორჩეული ხელწერა აქვთ, ძალიან განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ხელოვანები არიან. მათი ნამუშევრები მნიშვნელოვან კატალოგებშია შეტანილი, - გვითხრა მხატვარმა მაია ჭყონიამ.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა